

შუალედური ანგარიში №1

*6–13 დეკემბერი 2007 წელი

მოკლე შინაარსი

- საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 5 იანვრისათვის დაამტკიცა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. არჩევნები დაინიშნა მას შემდეგ, რაც მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა ნოემბრის დასაწყისში თბილისში გამართული ექსდღიანი მანიფესტაციების შემდეგ თავისი მანდატი შეემოკლებინა. მანიფესტაციების დაშლა მოხდა ძალის გამოყენებით და 7 ნოემბრიდან 16 ნოემბრამდე შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა.
- არსებულ სამართლებრივ ნორმებს დემოკრატიული არჩევნებამდე მივყავართ, თუ მათი განხორციელება კეთილსინდისიერად მოხდა. საარჩევნო კოდექსი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ კიდევ შეიცვალა. ზოგადად, კანონმდებლობის წინასაარჩევნო ცვლილებები არ შეესაბამება საარჩევნო სფეროში დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას.
- არჩევნებს ახორციელებს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76 საოლქო საარჩევნო კომისია და დაახლოებით 3 400 საუბნო საარჩევნო კომისია. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით შემოღებულ იქნა პარტიული წარმომადგენლობა ცენტრალურ და საუბნო დონეზე. ამის მიუხედავად, ცესკოში ოპოზიციის მიერ დანიშნულმა წევრებმა განაცხადეს, რომ მათი პარტიები არ იქნა წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ პოსტებზე უმრავლეს საუბნო კომისიაში. ცესკო აქტიურად არის ჩაბმული არჩევნების მომზადებაში და ხშირად მართავს შეკრებებს, რომლებზეც დასწრება პარტიათა წარმომადგენლებს, მედიასა და დამკვირვებლებსაც შეუძლიათ.
- ოქტომბერ-ნოემბერში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კარდაკარ შეამოწმა საარჩევნო სიები. საქართველოს 3,4 მილიონ მოქალაქეს შეეძლება მონაწილეობის მიღება მომავალ არჩევნებში. არჩევნების დღეს ამომრჩევლების რეგისტრაცია ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის შეშფოთებას იწვევს, რომლებმაც ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს საარჩევნო სიების სიზუსტე.
- საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მეტისმეტად პოლიტიკურ გარემოში. ოპოზიციის კანდიდატებმა საარჩევნო აღმინისტრაციის მიმართ ღრმა უნდობლობა გამოხატეს და აღნიშნეს, რომ მათ არა აქვთ საშუალება ყოფილ პრეზიდენტს თანაბარ პირობებში გაუწიონ კონკურენცია. ისინი ასევე მოუთითებენ, რომ ამომრჩევლებზე, განსაკუთრებით კი სახელმწიფო მოხელეებზე მასობრივი ზეწოლა ხორციელდება. მეორე მხრივ, ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ოპოზიციას არ სურს არჩევნების შედეგის აღიარება.
- ცესკო-მ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ოფიციალური საჩივარი მიიღო. საარჩევნო კომისიის ოთხი გადაწყვეტილება, რომლებიც კანდიდატების რეგისტრაციას ეხებოდა, თბლისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა. სამი საქმე შეწყდა, ერთი ჯერ კიდევ წარმოებაშია.

* “შუალედური ანგარიში N 1”. ამ დოკუმენტის ერთადერთი ოფიციალური ვერსია ინგლისურ ენოვანი ვერსიაა.

არჩევნების სადამკვირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შუალედური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

- “იმედი”-ს კერძო სატელევიზიო არხს, რომელიც ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით ეთერიდან მოხსნეს, საშუალება მიეცა მაუწყებლობა 6 დეკემბერს განეახლებინა, მას შემდეგ რაც მისი ლიცენზიის დროებითი შეჩერების გადაწყვეტილება გაუქმდა. თუმცა “იმედმა” მაუწყებლობის განახლება მხოლოდ 12 დეკემბერს შეძლო სავარაუდოდ იმ მიზეზით, რომ ტელევიზიის აპარატურას ზიანი მიადგა საპოლიციო რედის დროს. 7 დეკემბრის შემდეგ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია აკვირდება ხუთი სატელევიზიო სადგურის და ხუთი გაზეთის საქმიანობას.
- ცესკო-მ დამკვირვებლის სტატუსით რეგისტრაციაში გაატარა 34 ადგილობრივი და 6 საერთაშორისო ორგანიზაცია.

შესავალი

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2007 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევის შედეგად ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფიციალური (OSCE/ODIHR) 2007 წლის 6 დეკემბერს შექმნა ამ არჩევნების სადამკვირვებლო მისია (EOM), რომელსაც ელჩი დიტერ ბოდენი ხელმძღვანელობს. მისია შედგება თბილისში ბაზირებული 13-წევრიანი ძირითადი ჯგუფისა და 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან (LTO), რომლებიც 13 დეკემბერს მთელი ქვეყნის მასშტაბით 11 სხვადასხვა ადგილას განთავსდნენ. ძირითადი ჯგუფის წევრები და გრძელვადიანი დამკვირვებლები მოწვეული არიან ეუთოს 25 წევრი ქვეყნიდან. ამ ქვეყნებს ეთხოვათ 300 მოკლევადიანი დამკვირვებელი გამოაგზავნონ, რომლებიც ხმის მიცემის, დათვლისა და ხმების შეჯამების პროცესს დააკვირდებიან.

პოლიტიკური კონტექსტი

2007 წლის 8 ნოემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი მანდატის შემცირება გადაწყვიტა და წამოაყენა წინადადება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებულიყო. ეს განცხადება ოპოზიციური პარტიების ახლადშექმნილი გაერთიანების მიერ თბილისში 2-7 ნოემბერს ორგანიზებულ ექვსდღიან მანიფესტაციებს მოჰყვა. ოპოზიციურმა პარტიებმა სხვა მოთხოვნებთან ერთად პრეზიდენტის გადადგომა, საპარლამენტო არჩევნების 2008 წლის შემოდგომიდან გაზაფხულზე გადმოტანა და საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნის მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებები მოითხოვეს. 7 ნოემბერს პოლიციამ დემონსტრაციები ძალის გამოყენებით დაშალა და პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა იმის საფუძველზე, რომ საპროტესტო დემონსტრაციები ხელისუფლების ძალადობით შეცვლის მცდელობის ნაწილს წარმოადგენდა. საგანგებო მდგომარეობა 16 ნოემბერს გაუქმდა.

პოლიტიკური დიალოგის შედეგად მთავრობა საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით დათმობებზე წავიდა. გადაწყვდა აგრეთვე საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად საპარლამენტო

არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პლებისციტი გამართულიყო. კანონის შესაბამისად, ბატონი სააკაშვილი 25 ნოემბერს გადადგა 5 იანვრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების

არჩევნების სადამკევირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შეულებური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

მიზნით. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები, 2004 წლის იანვარში, რომლებიც ხმათა 96 პროცენტით საკაშვილმა მოიგო, ფაქტობრივად არაკონკურენტულ პირობებში ჩატარდა, სადაც ოპოზიციური კანდიდატები არ ყოფილან წარმოდგენილი. 2006 წლის ოქტომბერში ადგილობრივი თივთმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომლებშიც სახელისუფლო პარტიამ “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” ხმების უმრავლესობა მიიღო.

სამართლებრივი ბაზა და საარჩევნო სისტემა

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ფუნდამენტურ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისას. არჩევნების უმთავრეს საკანონმდებლო ბაზას, რომელსაც 2001 წელს მიღებული და მრავალჯერ შესწორებული საარჩევნო კოდექსი წარმოადგენს, მივყავართ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებამდე, თუ ეს კანონები კეთილსინდისიერად შესრულდა. ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილებები მიღებულ იქნა არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ზოგიერთი მათგანი საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგაც. საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა უშაალოდ არჩევნების წინ ზოგადად შეუსაბამოა საარჩევნო სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკასთან¹.

საარჩევნო კანონმდებლობა აგრეთვე მოიცავს კანონს შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, სისხლის სამართლის კოდექსს, საარჩევნო ადმინისტრაციის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

საარჩევნო კოდექსის 89-ე მუხლი განმარტავს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხს. ეს მუხლი ადგენს, რომ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 45-ე დღისა. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით მიცემულ ხმათა უმრავლესობით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ ღებულობს ხმათა უმრავლესობას, ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს, იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მეორე ტურში უფრო მეტ ხმას მიიღებს. მეორე ტურში ამომრჩეველთა 1/3-ის მონაწილეობა არ არის სავალდებულო საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილების შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაცია

ამ არჩევნებს წარმართავს სამი რეოლისგან შემდგარი საარჩევნო ადმინისტრაცია: ცენტრალური საარჩევნო კომისია, 76 საოლქო საარჩევნო კომისია და 3 447 საუბნო

საარჩევნო კომისია. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შესული ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პოლიტიკურ პარტიებს ცენტრალური საარჩევნო

¹ იხ. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის აპრობირებული საარჩევნო პრაქტიკის კოდექსი. დეკომენდაცია მოცემული II 2. ბ. მუხლში. [www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD\(2002\)023-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023-e.pdf)

არჩევნების სადამკევირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპარტიულო არჩევნები, საქართველო

შუალედური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

და საუბნო კომისიების შემადგენლობაში თავიანთი წევრების დანიშნვის საშუალება მიეცათ. 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით შვიდ პოლიტიკურ პარტიას მიეცა უფლება ცენტრალურ და საუბნო კომისიებში ყოფილიყო წარმოდგენილი. ესენია: “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, “ახალი მემარჯვენებები”, “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”, ”საქართველოს ლეიბორისტული პარტია”, პარტია “თავისუფლება”, ”საქართველოს რესპუბლიკური პარტია” და “კონსერვატიული პარტია”.

ცესკო ამჟამად თავმჯდომარისა და 12 წევრისგან არის დაკომპლექტებული. ყველა მათგანი დანიშნულია ხუთი წლის ვადით. თავმჯდომარეს და ხუთ წევრს წარადგენს პრეზიდენტი და ირჩევს პარლამენტი, ხოლო შვიდ წევრს ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები. საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობა არ შეცვლილა და მასში პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილი არ არიან. საოლქო საარჩევნო კომისია შედგება ხუთი წევრისგან, რომლებიც შერჩეული არიან საჯარო კონკურსის წესით და დანიშნული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხუთი წლის ვადით. საუბნო კომისიის შემადგენლობა ცენტრალური კომისიის შემადგენლობას ირეკლავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ექვს წევრს საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს, ხოლო შვიდს ცესკო-ში წარმოდგენილი პარტიები ასახელებენ.

მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 3 447 უბანი შექმნა, თითოეული განკუთვნილია მაქსიმუმ 1500 ამომრჩევლისთვის. საუბნო კომისიებმა პირველი სხდომები 7 დეკემბერს გამართეს. ცენტრალური კომისიის წევრები, რომლებიც ოპოზიციური პარტიების მიერ დასახელდნენ, ამტკიცებენ, რომ ოპოზიციური პარტიები 3000 საუბნო კომისიაში გადაწყვეტილების მიმღებ პოსტებზე წარმოდგენილი არ არიან და მათ ზოგიერთ წარმომადგენელს სხდომის შესახებ არ აცნობეს. თავის მხრივ ცესკო-ს თავმჯდომარემ შემფოთება გამოხატა, რომ პარტიული ნიშნით დანიშნული ცესკო-ს წევრების განცხადებები უსაფუძვლო და პოლიტიკური ხასიათისაა და არ შეესაბამება მათი, როგორც ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრატორების, როლს.

ცესკო საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს არჩევნების მომზადებაში. მომზადდნენ ტრენირები, რომლებმაც, თავისი მხრივ, საოლქო და საუბნო კომისიების წევრები უნდა მოამზადონ. წამოწყებულ იქნა ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანია. ცესკო ხშირად მართავს შეხვედრებს, სადაც მოწვეული არიან პოლიტიკური პარტიები, მედია და დამკვირვებლები. ცესკო-ს ოფიციალური ვებგვერდი ინფორმაციულია და აქტუალური.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო-ს ევალება ამომრჩეველთა ერთიანი სიის მომზადება. მას შემდეგ, რაც 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ამომრჩეველთა სია კარდაკარ გადამოწმდა, ცესკო-მ სიაში შეეყვანილი

ამომრჩევლების მთლიანი რაოდენობა - 3 372 836 სამართლებრივ გადებში გამოაქვეყნა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ეჭვი გამოთქვეს ამომრჩეველთა ამ რაოდენობასა და სიის მონაცემების სიზუსტესთან დაკავშირებით. ამომრჩევლებს საშუალება აქვთ მონაცემები გადაამოწმონ და სიაში ცვლილების შეტანა მოითხოვონ ინტერნეტის, ცესკო-ს ცხელი ხაზის ან პირადად საოლქო და საუბნო კომისიებთან შეხვედრის მეშვეობით. ცესკო-მ წამოაყენა წინადაღება, რომ ზოგადი სიების გადამოწმების ვადა 13-დან 16 დეკემბრამდე

არჩევნების სადამკევირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შეალებური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

გაზრდილიყო, მაგრამ შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს არ დაეთანხმა უმრავლესობა. ოპოზიციამ ასევე ხაზი გაუსვა საზღვარგარეთ ხმის მიცემის საკითხს და მიუთითა, რომ საქართველოს საკონსულოებში დარეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა არარეალისტურად დაბალია და ეჭვებს ბადებს დიპლომატიურ მისიებში მიმდინარე პროცესების გამჭირვალეობის თაობაზე.

საერთო სიიდან შეცდომით გამორჩენილი ამომრჩევლების რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება არჩევნების დღეს ამომრჩევლის პირადობის მოწმობისა და ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის (მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე) დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით, რასაც კოდექსში ბოლო დროს შესული ცვლილებები ითვალისწინებს. ამ ამომრჩევლებისთვის სავალდებულოა კონვერტისა და საარჩევნო ბიულეტენის ჩადება დამატებით კონვერტში, რომელსაც აქვს ამომრჩევლების მიერ გამოყენებული ჩვეულებრივი კონვერტებისგან განსხვავებული ფერი და ზომა. ეს განსხვავებული კონვერტები განსხვავებული პროცედურებით ითვლება. არჩევნების დღისთვის რეგისტრაციის ინსტიტუტის შემოტანამ დაინტერესებულ სუბიექტებს შორის შეშფოთება გამოიწვია. კერძოდ, ოპოზიციური პარტიები ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნებს ძველი პირადობის მოწმობები, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილის მოწმობა ცალკე ახლავს, შესაძლებელია აგრეთვე ხმის მიცემა მოხდეს განმეორებით, ვინაიდან საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი მოწმობის გაყალბება ადვილია. OSCE/ODIHR-ს გააცნეს ამომრჩეველთა პირადობის მოწმობების შეგროვის, კოპირებისა და აღრიცხვის მრავალი ფაქტი. მისია იკვლევს ამ ბრალდებებს.

კანდიდატების რეგისტრაცია

26 ნოემბერს ცესკო-მ იმ კანდიდატების 22-კაციანი სია წარადგინა, ვინც საპრეზიდენტო არჩევნებზე დასარეგისტრირებლად კომისიაში განცხადებები შეიტანა. ცესკო-მ 19 მათგანი რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე გადაიყვანა, ანუ ისინი, ვინც 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერა წარადგინა. კანონით დადგენილ ვადაში 13-მა პარტიამ და საინიციატივო ჯგუფმა ხელმოწერები ცესკო-ს წარუდგინა.

საბოლოოდ რეგისტრაცია შვიდმა კანდიდატმა გაიარა. ოთხმა კანდიდატმა, რომლებსაც უარი ეთქვა რეგისტრაციაზე წარმოდგენილ ხელმოწერათა არასაკმარისი რაოდენობის გამო ცესკო-ს შესაბამისი გადაწყვეტილებები გაასაჩივრა სასამართლოში (იხ. საჩივრები და გასაჩივრება).

ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის გარდა, კანდიდატები არიან: ლევან გაჩქილაძე, რომელიც წარმოადგენს საერთო სახალხო მოძრაობას, ცხრა ოპოზიციური პარტიის ბლოკს, რომლებიც სექტემბერში გაერთიანდნენ; დავით გამყრელიძე (ახალი

მემარჯვენების პარტია); შალვა ნათელაშვილი (საქართველოს ლეობორისტული პარტია); გია მაისაშვილი (მომავლის პარტია); ირინა სარიშვილი (პარტია იმედი) და დამოუკიდებელი კანდიდატი – არგადი პატარკაციშვილი, რომელსაც ხელისუფლება ბრალად დებდა სახელმწიფოს ძალადობრივი გადატრიალების მცდელობას. ის ქვეწიდან ნოემბრის დემონსტრაციების შემდეგ გაემგზავრა და საქართველოში კანდიდატად რეგისტრაციის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო. 11 დეკემბერს ცესკო-მ დაადგინა კანდიდატების რიგითობა სამომრჩევლო ბიულეტენზე.

არჩევნების სადამკვირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შუალედური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

საარჩევნო გარემო

საარჩევნო კამპანია მეტად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობს. ოპოზიციის კანდიდატები ღრმა უნდობლობას გამოხატავენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ და ეჭვის ქვეშ აყენებენ საარჩევნო პროცესის სამართლიანობას. ისინი ამტკიცებენ, რომ არა აქვთ საშუალება თანაბარი კონკურენცია გაუწიონ ყოფილ პრეზიდენტს. მათი ბრალდებების მიხედვით, ყველა კანდიდატს ერთნაირად არ მიუწვდება ხელი სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ შენობებზე ამ შენობებში კამპანიის ჩასატარებლად, არათანაბარად მიუწვდებათ ხელი მედია საშუალებებზე, ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ საჯარო მოხელეები მონაწილეობას ღებულობდნენ ყოფილი პრეზიდენტის მხარდაჭერ კამპანიაში, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონმდებლობას. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ ბატონი სააკაშვილი არასამართლებრივად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსებს, როგორიცაა სამთავრობო მანქანები და გაძლიერებული დაცვა, რომელსაც იგი პრეზიდენტობის დროს იყენებდა.² ასევე ვრცელდება საჯარო მოხელეებზე მასობრივი ზეწოლის ბრალდებები, რათა მათ ხმა მისცენ ბატონ სააკაშვილს. OSCE/ODIHR არჩევნების სადამკვირვებლო მისია იკვლევს ამ ბრალდებებს, რომლებსაც ხელისუფლება უარყოფს.

ბატონი სააკაშვილის საარჩევნო კამპანია აგებულია მთელ რიგ სოციალურ ვალდებულებებზე, მათ შორის მოიაზრება დარიბი და უმწეო მოქალაქეებისთვის შეშის, ელექტროენერგიის, გაზისა და სამედიცინო ვაუჩერების დარიგება. იმის მითითებით, რომ ბევრი ეს ვალდებულება გათვალისწინებული არ არის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით და არც 2008 წლის ბიუჯეტის პროექტით, ოპოზიციის კანდიდატები ბევრ ამ დაპირებას განიხილავენ როგორც საბიუჯეტო რესურსების ბოროტად გამოყენებას საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის. ხელისუფლების წარმომადგენლები ამას უარყოფენ და აღნიშნავენ, რომ ეს დაპირებები დანახარჯების იმ გეგმაშია ასახული, რომლებიც ჯერ კიდევ არჩევნების დანიშვნამდე არსებობდა.

ოპოზიციის მიერ საარჩევნო პროცესისადმი უნდობლობის განცხადებებს ფონზე, ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ოპოზიციის ძირითად მიზანს წარმოადგებს არა საარჩევნო კამპანია, არამედ მზადება არჩევნების შემდგომი დემონსტრაციებისთვის, რადგან მათი წინასწარი განცხადებით შედეგები გაყალბებული იქნება.

მედია

საქართველოში არსებობს მრავალფეროვანი მედია გარემო, რომელიც მოიცავს საჯარო და კერძო მაუწყებლებს და პრესის მრავალრიცხოვან საშუალებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ზოგადად თავისუფალ მედია გარემოზე გარკვეული ზეგავლენა იქონია ბოლოდროინდელი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ, რომლის დროსაც დაწესდა შეზღუდვები მედია მაუწყებლობასა და ინფორმაციის მიწოდებაზე. სატელევიზიო არხება “იმედმა”, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სატელევიზიო არხს წარმოადგენს და რომელიც ოპოზიციურად განწყობილ არხად მოიაზრება, მაუწყებლობა 12 დეკემბერს განაახლა, ანუ 7 ნოემბრის საბოლიციო რეიტინგან ერთი თვის შემდეგ.

² სპეციალური სახელმწიფო დაცვის სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, ყოფილ პრეზიდენტს აქვს უფლება პირად უსაფრთხოებაზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

არჩევნების სადამკეირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შუალედური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

არხი მოიხსნა ეთერიდან მას შემდეგ, რაც კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მას ლიცენზია სამი თვის ვადით გაუუქმა. სამაუწყებლო მედიის მთავარმა მარეგულირებელმა ორგანომ და თბილისის საქალაქო სასამართლომ ”იმედის” აქციები დააყადაღა. ეს ზომები მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ”იმედის” ეთერით გაკეთდა განცხადება, რომელიც, სავარაუდოდ, ხელისუფლების ძალადობით დამხობისკენ მოუწოდებდა. ეს ბრალდება უარყო მაუწყებლობის აღმინისტრაციამ. უფრო მეტიც, სხვა არხებზე გაკეთებულ მსგავს განცხადებებს, როგორც ჩანს, მსგავსი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია. ”იმედის” განცხადებით, არავის წარმოუდგენია ოფიციალური ორდერი, რომელიც საპოლიციო რეიდს დაკანონებდა.

ოპოზიციური პარტიის და საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის შემდეგ მთავრობამ 3 დეკემბერს გენერალური პროკურორის შუამდგომლობა ითხოვა იმის თაობაზე, რომ სარჩელი შეეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია ”იმედის” ყადაღის მოხსნის თაობაზე. 4 დეკემბერს ეროვნული კომუნიკაციების კომისიამ გაუუქმა გადაწყვეტილება იმედის ლიცენზიის გაუქმების შესახებ და ორი დღის შემდეგ სასამართლომ დაადგინა ”იმედის” აქტივებზე ყადაღის მოხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ”იმედისთვის” სამართლებრივი შეზღუდვები მოიხსნა, ტელეკომპანია ”იმედმა” მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეძლო მაუწყებლობის განახლება იმ მიზეზით, რომ საპოლიციო რეიდის დროს დაზიანდა აპარატურის ნაწილი. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მაუწყებლობის მნიშვნელოვანი ალტერნატიული წყაროები დახურულ იქნა წინასარჩევნო პერიოდში. არჩევნების გაშუქების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა მარეგულირებელი მედია საბჭო, რომელიც შედგება შვიდი ცნობილი ადგილობრივი უურნალისტისგან და სხვა ექსპერტებისგან. საბჭოს თავმჯდომარეა ცნობილი პოლონელი პოლიტოლოგი ადამ მიპიკი, რომელმაც ”იმედის” საქმეში მედიატორის როლი ითამაშა ევროკავშირის სახელით.

საარჩევნო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მედიის საქმიანობას არეგულირებს, და საარჩევნო სუბიექტებისთვის უფასო და ფასიანი საეთერო დროის განაწილებას ითვალისწინებს.

ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში. კანონი ერთმანეთისგან არჩევს ”კვალიფიციურ” და ”არაკვალიფიციურ” სუბიექტებს და მიუთითებს, რომ თანაბარი პირობების შექმნა დებატებში და უფასო ეთერის მოთხოვნები ვრცელდება ”კვალიფიციურ” სუბიექტებზე. ”კვალიფიციურ” სუბიექტებად ითვლებან იმ პოლიტიკურ პარტიათა კანდიდატები, რომლებიც ქმნიან

ფრაქციას პარლამენტში ან ბოლო პროპორციულ არჩევნებში მიიღეს ხმების მინიმუმ ოთხი პროცენტი. რაც შეეხება ”არაკვალიფიციურ” სუბიექტებს, მათ საზოგადოების მხრიდან მათი კანდიდატების მხარდაჭერა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით უნდა დაამტკიცონ, რომ თავისუფალი საეთერო დროით/სივრცით ისარგებლონ. კანონის შესაბამისად, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაწყვიტა სატელევიზიო დებატები კვირაში ორჯერ მოაწყოს (7-დან 30 დეკემბრამდე) – კვირაობით კვალიფიციური სუბიექტებისა და პარასკევობით არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის. ამასთან ერთად, კანდიდატებს შეუძლიათ საზოგადოებრივ მაუწყებელზე თავისუფალი საეთერო დროით ისარგებლონ, ისევე როგორც სხვა სატელევიზიო არხებზე. როგორც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა OSCE/ODHIR არჩევნების სადამკეირვებლო მისიას აცნობა, ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კანდიდატის მოთხოვნა შემოვიდა.

არჩევნების სადამკვირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შუალედური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

7 ოქტომბრიდან OSCE/ODIHR არჩევნების სადამკვირვებლო მისია რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონიტორინგს 5 სატელევიზიო³ არხზე და 6 ყოველდღიურ და ყოველკვირეულ გაზეთზე⁴ ახორციელებს. დამატებით ინფორმაციას OSCE/ODIHR-ის მონიტორინგის შესახებ იხილავთ OSCE/ODIHR-ის მომავალ ანგარიშებში.

საჩივრები და გასაჩივრება

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მრავალჯერ განაცხადეს საარჩევნო კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე, რელურად ცესკო-მ მხოლოდ ერთი ოფიციალური საჩივარი და ექვსი “განცხადება” მიიღო. საჩივარი, რომელიც პოლიტიკურმა მოძრაობა “თავისუფლება”-მ წარადგინა, ამტკიცებს, რომ თბილისის მერი, ლტოლვილთა და განსახლების და განათლების მინისტრები, როგორც საჯარო მოხელეები, უკანონოდ მონაწილეობენ ბატონი სააკაშვილის მხარდაჭერ კამპანიაში. ცესკომ წერილობით უპასუხა, რომ ეს პიროვნებები არ არიან საჯარო მოხელეები საარჩევნო კოდექსისა და საჯარო სამსახურის კანონის მიხედვით⁵. ამ საჩივრამდე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ჰქონდა წარდგენილი მსგავსი განცხადება იდენტური ბრალდებით, რაზეც ცესკო-მ უპასუხა, რომ ეს პირები არ ეწეოდნენ “აგიტაციას” საარჩევნო კოდექსის გაგებით, ვინაიდან ისინი არ გამოხატავდნენ “აშკარა მხარდაჭერას” სააკაშვილის მიმართ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და საქმე ამჟამად განხილვაშია.

ცესკო-მ ასევე მიიღო ორი განცხადება ლეიბორისტული პარტიისა და ქართული ცნობიერების და თვითმყოფადობის გადარჩენის საზოგადოების მხრიდან, სადაც მითითებულია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი სარგებლობს მისი, როგორც ყოფილი პრეზიდენტის, სტატუსით და არალეგალურად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსებს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წერილით უპასუხა, რომ საარჩევნო კოდექსის მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ

კანდიდატებზე, რომლებიც საჯარო თანამდებობებზე არიან. ვინაიდან ეს კანდიდატი არ იყო საჯარო მოხელე (იგი გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან), შესაბამისად დარღვევას ადგილი არ ჰქონია⁶.

სახალხო დამცველმა (ომბუდსმენმა), რომელსაც ევალება ზედამხედველობა ადამიანის უფლებათა დაცვაზე საქართველოში, მიიღო საჩივრები არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებზე და არჩევნების სადამკვირვებლო მისიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამ საარჩევნო ჰქონილში მოქალაქეებს თვითმყოფადობის საჩივრების შეტანა ეშინიათ. სახალხო დამცველისგან მიღებული ცნობები იმის შესახებ, რომ საარჩევნო კამპანიის ჰქონილში პოლიტიკური აქტივისტებისა და მათი ოჯახის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლის

³ პირველი არხი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი), იმედი, რუსთავი 2, მზე და კავკასია.

⁴ რეზონანსი, 24 საათი, ალია, ასავალ დასავალი, კვირის პალიტრა, ახალი თაობა და ჯორჯიან ტაიმსი.

⁵ თუმცა, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 1-8 მუხლების მიხედვით, “საჯარო მოხელეს” ცნება მოიცავს ყველა ტიპის თანამდებობას, იქნება ეს პოლიტიკური თუ სხვა ტიპის მოხელის ცნებას, რომლებიც მუშაობენ საჯარო სამსახურში.

⁶ საარჩევნო კოდექსის 76 (1) მუხლი კრძალავს წინასაარჩევნო აგიტაციისა და კომპანიისათვის იმ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებას, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ მუხლის მოქმედება მხოლოდ იმ კანდიდატებით არ შემოიფარგლება, რომლებიც საჯარო მოხელეები არიან.

არჩევნების სადამკევირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შუალედური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

სამართლებრივი გამოძიება და დევნა ნოემბრის დემონსტრაციებში მათი მონაწილეობის გამო, იწვევს შეშფოთებას ამ ღონისძიებების, როგორც დაშინების საშუალებების შესაძლო გამოყენების გამო. გარდა ამისა, არჩევნებზე დამკვირვებლთა მისიამ ასევე მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ოპოზიციის აქტივისტები ოფიციალურად აცხადებენ, რომ მათზე ხორციელდება დაშინების, ზეწოლისა და ძალადობის ფაქტები სხვადასხვა პირების, მათ შორის საჯარო მოხელეებისა და პოლიციის მუშაკების მიერ. ცესკო-მ მიიღო ერთი განცხადება „ახალი მემარჯვენები“-სგან, რომელშიც მიწოდებულია ინფორმაცია ამ ორგანიზაციის აქტივისტებისა და მხარდაჭერების მიმართ განხორციელებული დევნის შესახებ, და ცესკო-მ ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაწოდა.

ცესკო-ს ოთხი გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ყველა ეხება კანდიდატისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმას მხარდაჭერთა ხელმოწერების არასაკმარისი რაოდენობის გამო. სასამართლომ არ დააკამყოფილა სამი სარჩელი. ერთი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოში არ შესულა არჩევნებთან დაკავშირებული რაიმე საჩივარი.

ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის საკითხი

არჩევნებში ქალების მონაწილეობისთვის დღესდღეობით სამართლებრივი ბარიერები ან ისეთი იურიდიული ნორმები, რომლებიც ქალთა მონაწილეობის სასარგებლოდ გადაწყვეტდა საკითხს, არ არსებობს. მოუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში რამდენიმე ცნობილი ქალი მონაწილეობს, ზოგადად ქალები არ არიან საკმარისად წარმოდგენილი პოლიტიკურ ცხოვრებაში და საარჩევნო აღმინისტრაციის მაღალ ეშელონებში. ამ არჩევნებში რეგისტრირებული შვიდი კანდიდატიდან მხოლოდ ერთი – ირინა სარიშვილი არის ქალი. ცესკოს 13 წევრიდან ქალი მხოლოდ ერთია. პოლიტიკაში მოღვაწე ცნობილ ქალბატონებს მიეკუთვნება ნინო ბურჯანაძე – პრეზიდენტის მოგალეობის შემსრულებელი და საქართველოს

გზის პარტიის თავმჯდომარე, ცხრა პარტიისგან შემდგარი ოპოზიციური გაერთიანების პრემიერ მინისტრობის კანდიდატი – სალომე ზურაბიშვილი.

2002 წლის აღწერით⁷ ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 16,2 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდ ეროვნულ უმცირესობას აზერბაიჯანელები (6,5 პროცენტი) და სომხები (5,7 პროცენტი) წარმოადგენს, რომლებიც აზერბაიჯანის და სომხეთის მოსაზღვრე სამხრეთ რეგიონებში ცხოვრობენ. სხვა უმცირესობებში მოიაზრებან რუსები, ოსები, ბერძნები, ჩეჩენები, ებრაელები, აფხაზები და ქურთები. კონსტიტუციის მიხედვით ეროვნულ უმცირესობებს სრული პოლიტიკური უფლებები გააჩნიათ. იმ რეგიონებს, სადაც ეროვნულ უმცირესობათა ძირითადი ნაწილია კონცენტრირებული, ცესკო საარჩევნო მასალებს რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ოსურ ენებზე მიაწოდებს.

⁷

რომელიც არ მოიცავს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებს.

არჩევნების სადამკვირვებლო მისია

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველო

შუალედური ანგარიში №1, 6–13 დეკემბერი

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საქართველოს კანონმდებლობა დამკვირვებელს უფლებას აძლევს დააკვირდეს არჩევნების მთელ პროცესს. 13 დეკემბრისთვის ცესკო-მ 34 ადგილობრივი, 5 საერთაშორისო ორგანიზაცია და 4 საელჩო გაატარა რეგისტრაციაში. ყველაზე მეტი ადგილობრივი დამკვირვებელი სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას (ISFED) ჰყავს, რომელიც გეგმავს არჩევნების დღეს თავისი დამკვირვებლები 3 000 საარჩევნო უბანზე მიავლინოს და ხმების პარალელური დათვლა განახორციელოს. სხვა ადგილობრივ დამკვირვებლებს შორის არიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) და ახალი თაობა – ახალი ინიციატივა (NGNI).

OSCE/ODIHR არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ თავისი ოფიცი თბილისში 2007 წლის 6 დეკემბერს გახსნა. მისიის უფროსი შეხვდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, პრემიერ მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, ცესკოს თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, სახალხო დამცველსა და სხვა მოხელეებს, ევროპის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში და ეუთოს ქვეყნების ელჩებს. არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დამყარა რეგულარული კონტაქტი ცესკოსთან, დიპლომატიურ საზოგადოებასა და მირითად პოლიტიკურ პარტიებთან. მისიამ წარმართა საწყისი შეხვედრები რეგისტრირებულ კანდიდატებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საარჩევნო აღმინისტრაციის ორგანოებთან, მედიასა და სხვა პარტნიორებთან. პირველი ბრიფინგი დიპლომატიური საზოგადოების წარმომადგენლებსა და საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო თანამეგობრობასთან 13 დეკემბერს გაიმართა.